

დამტკიცებულია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2020 წლის 16 იანვრის
№28 ბრძანებით

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია
და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში „აუტიზმის სპექტრის
დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“ კურსის შესრულებაში
მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ფარგლებში „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ კურსის ჩატარება.

2. „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ კურსის ჩატარების მიზანია .გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია (საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა) 15 გაკვეთილი თვის განმავლობაში. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის.

3. მომსახურების გაწევის ვადაა: 2020 წლის იანვრიდან 2020 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

5. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება: დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0-F84.9) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვები.

6. „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მუშაობის გამოცდილება ანალოგიური მომსახურების სფეროში არანაკლებ 6 თვე.

ე) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტები.

„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ ღონისძიებების, ფასებისა და შესრულების წესის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0244) 24-63-02; 577 30 26 59; მარინა რუხაძე.